muslim.ge

უბრალოება სილამაზეა

بسم الله الرحمن الرحيم

muslim georgia
muslim georgia foundation
international charity

დიანეთის საქმეთა
სამმართველოს გამომცემლობა

სახალხო წიგნები

თარგმნა
თამაზ მიქელაძემ

გრაფიკა და დიზაინი
ბილალ ილკაი

muslim georgia

საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი
وقف تضامن حاولو مسلمو جورجيا
muslim georgia uluslararası yardımlaşma vakfı

www.muslimgeorgia.org
info@muslimgeorgia.org
muslim.georgia.18
muslim.georgia.54
georgiaquran
muslim_georgia
muslimgeorgiaquran
muslimgeorgia

უბრალოება ლამაზია

muslim georgia
muslim georgia foundation
international charity

muslim georgia
muslim georgia foundation
international charity

სარჩევი

უბრალოება: ზომიერება და წონასწორობა	7
ყოველი უსახსრობა ზღვარსგადასულობის მაცნეა	14
სადად ცხოვრება	18
წარსულიდან დღემდე უბრალოება და მოჩვენებითობა	24
ამპარტავნება და განადგურება	31
ოჯახში უბრალოება	35
სიცოცხლის სადად გატარება	44
ბავშვი, რომელმაც ცხოვრების დინება შეცვალა	48
ცხოვრება მშვენიერია, როცა იოლდება	51

muslim georgia
muslim georgia union foundation
muslim georgia
muslim georgia
muslim georgia

muslim georgia
muslim georgia foundation
international charity

უბრალოება: ზომიერება და ნონასწორობა

ალიე ჩინარ

ღვთის გაჩენილთაგან ადამიანი ყველაზე მნიშვნელოვანი არსებაა, ამიტომ არსებების იარარქიაში ყველაზე მაღლა დგას. ამდენად მნიშნელოვან არსებას ოკეანის მსგავსად ამოუწურავი თვისებები გააჩნია. ოკეანისა და ზღვის ტალღები ძალიან განსხვავებულია. მათ გვერდით ნაკადულზე ან ჩანჩქერზე საუბარიც ძალიან მარტივი იქნება. ყოველი ნაკადული და მდინარე ზღვაში ჩადის და ზღვებიც საბოლოოდ ოკეანეში ერთიანდებიან. შესაბამისად ოკეანე ყველას მოიცავს. ადამიანიც ცხოველის სულიდან დაწყებული ღვთიურ სულამდე მრავალფეროვანი და დიდი დიაპაზონის მქონე არსებაა.

ადამიანი ამდენად „არეული“ არსებაა, მაგრამ თუ წონასწორობაში მოვიდა საოცარი არსება ხდება. რა არის გზა საიმისოდ, რომ ადამიანმა ჰარმონიასა და ზომიერებას ეზიაროს? ადამიანს გააჩნია შურის, ეგო-

იზმისა და სიბრაზისკენ მიდრეკილება. მაშ, როგორ შეიძლება რომ ამ ყველაფრისგან გათავისუფლდეს და სიკეთითა და სიყვარულით ადივსოს? სხვანაირად რომ დავსვათ შეკითხვა, ადამიანი რატომაა ეგოისტი, შურიანი და მრისხანე? ან რატომ არ შეუძლია წონასწორობის დაცვა და ზღვარს გადადის?

ადამიანის ძირითადი მოთხოვნილებები, შეგვიძლია ვთქვათ, რომ სიყვარული და უსაფრთხოებაა. უსიყვარულო ადამიანი შორიდება როგორც საკუთარ თავს, ისე საზოგადოებასაც. საკუთარ თავსა და საზოგადოებას ჩამოშორებული ადამიანი აგრესიული და შფოთიანია. ასეთ შემთხვევაში მისი სული შეგვიძლია კარავს შევადაროთ, რომელსაც უსიყვარულობით კალთები დახეული აქვს. ამ ჩამოხეული კალთების დაკერება ისევ და ისევ სიყვარულითაა შესაძლებელი. სულის გაძლიერებისთვის სიყვარულია საჭირო. თანამედროვე ფსიქოლოგია ადამიანს, „სიყვარულისა და წარმოების“ თვისების მქონე არსებად განმარტავს. ვისაც სიყვარული შეუძლია, მას ცხოვრების ხალისი და შემართება გააჩნია. ამ შემთხვევაში კარავიც ძირითად ბოძზე მყარად არის დაფიქსირებული.

იუნუს ემრე ამბობდა, რომ როცა სიყვარული მოვა, მრავალი დარდი გაქრებაო. ამ-

დენას სიყვარული ძალიან მნიშვნელოვანი წყაროა, როგორც ადამიანისთვის, ისე სარწმუნოებისთვისაც. სიყვარულის მეოხებით სულში ჰარმონია და წონასწორობა ისადგურებს. სიყვარული და სიკეთე სარწმუნოებაში საზღვრის ფუნქციას ასრულებს, იმ საზღვრისას რომლის გამოც სიძულვილი და მტრობა მეორე პოლუსზე რჩება.

ადამიანის მიდრეკილება უყვარდეს, სჯეროდეს და ენდობოდეს, მისი სულის რეალურ საყრდენს (კარვის დედაბოძს) არის შემოხვეული და უფრო მეტიც, ამაგრებს მას. ადამიანს ყველაზე უკეთ სიყვარული მართავს. რწმენის საშუალებით ადამიანი სიყვარულს, ძალას, ზომიერებას და სამართლიანობას აღწევს, რაც ბედნიერებას და კეთილდღეობას მოუტანს, ეს კი წონასწორობა და ჰარმონიაა.

გამოდის, რომ სიყვარულის თვისება სულის განვითარებისთვის მნიშვნელოვან ადგილს იკავებს. ამ თვისების გარეშე დარჩენილი ადამიანი საკუთარ თავს მარტოსულად გრძნობს. გამომდინარე აქედან სიყვარული ადამიანს საკუთარი თავის პოვნაში ეხმარება.

შეყვარებული სული განსაკუთრებულ მდგომარეობაშია და მას ამავდროულად სამართლიანობის გრძნობა უჩნდება. სიყვარუ-

ლის გარეშე დარჩენილი სამართლიანობა მხოლოდ მშრალი კანონების მორჩილებაა. ასეთი რწმენა მხოლოდ ბრძანებებისა და აკრძალულების გათვალისწინებას უზრუნველყოფს. ამ შემთხვევაში ადამიანზე ორიენტირებული მდგომარეობა აღარ გვექნება.

ამ გაგებით ქააბა სარწმუნოების ერთ-ერთი შინაარსია. პირველი ადამიანის გაჩენა, მისი მოკვდავობა, ბრძანებაზე უსიტყვო მორჩლება და ეგოიზმის სრული დამარცხება (შუამავალ იბრაჰიმის მიერ მსხვერპლის შეწირვის პირობის აღსრულებასთან დაკავშირებული მოვლენა), ადამიანად ყოფნის აღქმა, ეშმაკის მახეებისგან თავის დაღწევა, ეს ყველაფერი ადამიანური თვისებების გამოხატულებაა. ეს ყველაფერი ადამიანის ადამიანური რეალობაა. სააქაო და საიქიო, სული და სხეული, წარსული და მომავალი, ანგელოზი და ეშმაკი, ყველა ეს წყვილი თევჰიდის გაგების ხელახალი აღქმაა.

ღვთისმსახურების მიზანი ადამიანში ამ აღქმის განხორციელება და სიყვარულის, სამართლიანობის და ზომიერების ჩამოყალიბებაა. ამ პროცესში ადამიანის გულისა და გონების განზომილებების ჰარმონიულობა ყალიბდება. ამგვარი წონასწორობა ადამიანში სამართლიანობის გრძნობის სახით იჩენს თავს. სამართლიანი ადამიანი ზომიერი, მამაცი და ხელგაშლილი უნდა იყოს. ეს

სამართლიანობაა კარვის დედაბოძი. ადამიანის საკუთრებას სამართლიანობა უნარჩუნებს წონასწორობას. თუ ადამიანი სამართლიანი არ არის, სხვა თვისებები რომც გააჩნდეს, წონასწორობასა და ზომიერებას ვერ შექმნის. სამართლიანობას ზრდილობა მოაქვს, რადგან სამართალი და მორალი ერთიმეორეს ავსებენ. სამართლიანობა გონებისა და გულის ჰარმონიულობის შედეგად ჰპოვებს წონასწორობას, ვინაიდან სინდისის გარეშე სასწორის წონასწორობაში მოყვანა შეუძლებელია.

ადამიანის ბუნებას თუ გავითვალისწინებთ ამ შედეგამდე მივდივართ. ბუნებრივსა და ადამიანურს შორის, მატერიალურსა და აზრიანს შორის კავშირს მორალი ამყარებს. მორალი კი ყველაზე ხელსაყრელ ადგილას, სარწმუნოებაში ჰპოვებს ადგილს.

შესაბამისად ადამიანი რმწნის მეოხებით საკუთარ ბუნებას გამოვლენს, ხოლო უარყოფითა და ურწმუნოებით საკუთარ თავს შორდება. არაბულ ენაში რწმენის (იმან) ანტონიმი არის „ქუფურ“. ეტიმოლოგიურად ქუფური დაფარვას, დამალვას ნიშნავს. რწმენაში გამოხატვაა, სააშკარაოზე გამოტანა და შესაბამისად სანდოობაც. გამოდის რომ რწმენა არსებულის წარმოჩინებაა, სააშკარაოზე გამოტანა, ხოლო ურწმუნოება კი -დაფარვა.

პაკისტანელი პოეტი და ფილოსოფოსი იქბალი ამბობს, რომ ადამიანი, რომელიც მთელ თავის გულს ღმერთს მიანდობს და საკუთარ შესაძლებლობებს განივითარებს, სხეულის ვიწრო ჩარჩოებისგან თავისუფლდება და შეძლებს ჩასწვდეს იმას, რაც მას ეკუთვნის. ასე ადამიანი გაიცნობს საკუთარ სულს და საკუთარ თავს.

ამგვარი გათვითცნობიერება ღვთიური საზღვრების დარღვევას არ გულისხმობს. მაიდას სურაში ნაბრძანებია, რომ ჭეშმარიტებას უნდა ჩავწვდეთ და საზღვრებს არ გადავიდეთ. აქვე მნიშვნელოვანია ადამიანის თავისუფალი ნებისა და შინაგანი სურვილების პაექრობა. ზღვარს გადასვლა მუნაფიყობაზე მიანიშნებს. მუნაფიყების ქცევა თითქოსდა ღმერთის ბრძანებების უზადოდ შესრულებაა, მაგრამ სინამდვილეში არ სწამთ. ასეთი ადამიანები საკუთარი თავის კარგად შენიღბვისათვის ზღვარს გადადიან. ამგვარი ქცევა ადამიანის ჭეშმარიტი ბუნების გამოვლინებაზე ხელის შეშლაა.

ფსიქოლოგიური ენით რომ ვისაუბროთ ეს პრობლემა ადამიანებში სასოწარკვეთას იწვევს. სიყვარულისა და ნდობის მოთხოვნილების საკმარისად დაუკმაყოფილების შემთხვევაში ადამიანი ტრაგიკულ პიროვნებად ყალიბდება. ასეთ ადამიანში ამგვარი ღია სივრცეები თუ არ ამოივსო მისი

ქცევები რადიკალურ ფორმებს მიიღებს. საზღვრების დაუცველობის მდგომარეობა აგრესიულ ფსიქოლოგიაში გამოვლინდება. ყურანის ენით ასეთ ადამიანები ორპირები არიან. ასეთ ადამიანები სამართლიანობის საზღვრებს არ ცნობენ, მაგრამ გარეგნულად თითქოს ყველაფერს ზედმიწევნით იცავენ.

„ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! იყავით ალლაჰის წინაშე მოწმენი, სამართლის აღმდგენი! და არ გაიძულოთ ზოგიერთ ადამიანთა მიმართ სიძულვილმა, რომ სამართლიანად არ იქცეოდეთ. იყავით სამართლიანნი, ის უფრო ახლოა ღვთისმოშიშობასთან; და გეშინოდეთ ალლაჰისა, უეჭველად, ალლაჰი უწყის, რასაც იქმთ თქვენ“. (მაიდე 8)

უსამართლობის განცდის საფუძველში სიძულვილი დგას. სიძულვილი და ბრაზი ადამიანის სულიერი ამაღლების პროცესში დიდი დაბრკოლებებია.

ადამიანმა საკუთარი თავი რომ შეიცნოს საამისოდ სიყვარული, სამართლიანობა, ძალა და ზომიერება ჰარმონიულად უნდა წარმოაჩინოს. ასეთი ადამიანი განსაკუთრებულ გამოხატულებას არ საჭიროებს და ის საკმაოდ უბრალო ადამიანია. ასეთ ადამიანს არ დაჭირდება ზღვარსგადასული ქცევების დემონსტრირება.

ყოველი უსახსრობა ზეათასგადასულობის მაკნეა

შაჰინ ქიზილაბდულლაჰ

წმინდა წიგნში მითითებულია, რომ ღმერთმა ადამიანი საუკეთესო ფორმით გაა-ჩინა. ჩვენ, ადამიანებს კი გვევალება დავი-ნახოთ ღვთით ბოძებული ყოველი სიკეთე და სილამაზე.

ცხოვრება სამყაროს შეცნობის პროცე-სია. ადამიანი დაბადებიდანვე საკუთარი თავისა და გარემოს შეცნობას იწყებს. ამ პროცესში ყველაზე რთული მაინც საკუთა-რი შინაგანი ბუნების შეცნობაა.

ადამიანი მრავალფეროვანი სულიერი და ფიზიკური მოთხოვნილებებითაა სავსე და ამ მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას მთელ ცხოვრებას უძღვნის. გახარჯული ცხოვრე-ბის სამაგიეროდ ის სულიერი და ფიზიკური მოთხოვნილებების შედეგებს იღებს. მისი ამ შედეგების ზომიერება იზომება იმით, თუ რამდენად სასარგებლოა ისინი. მაგალითად, ადამიანი რამდენადაც ზომიერად იკვებება,

muslimgeorgia

მისი სხეული იმდენად ჯანმრთელი იქნება. იგივენაირად, რაოდენაც ზომიერად იკვებება სულიერად, იმდენად ჯანსაღი სულიერი მდგომარეობა ექნება.

კვლევები, რომლებიც ამ მიმართულებით იქნა ჩატარებული, ჩვენს დასკვნებს ემთხვევა. ის ადამიანები, რომლებსაც აღზრდის პერიოდში საკმარისი სიყვარული არ ხვდათ წილად, მოგვიანებით კრიმინალისკენ მიდრეკილნი ხდებიან და ამავდროულად უიღბლო ქორწინენებით გამოირჩევიან. ბავშვობაში სიყვარულის ნაკლებობა მოწიფულობის ასაკში რაიმე სახის დადიკალური ქცევების გამოვლინების ალბათობას ბადებს. ასევე საფრთხილოა ზედმეტი სიყვარულის გამოხატვაც.

„ხოლო რომელნიც, როცა შემოწირულობას გასცემენ, არც ფლანგავენ და არც ძუნწობენ, საშუალოს ირჩევენ მათ შორის“, (ფურყან 67)

ყურანი ადამიანებს მოუწოდებს მათზე ბოძებული წყალობიდან, ანუ საკუთარი ქონებიდან ზომიერად დახარჯონ, არც სიძუნწე გამოიჩინონ და არც მფლანგველობა. როგორც ცხადია ქცევის ნორმა და მისი მთავარი ხაზი წონასწორობა და ზომიერებაა. როდესაც ღმერთი ზომიერებისკენ მოგვიწოდებს, ამ დროს რომელიმე ერთი კონკრეტუ-

ლი სფერო არ აქვს მითითებული. ცხოვრების ყველა სფეროში, ყველა მიმართულებით ზომიერების დაცვა გვევალება.

ყოველდღიურ ცხოვრებაში მრავალი რამ გვჭირდება, საკვები იქნება, ტანისამოსი, ელექტრონული საქონელი თუ სხვა მრავალი რამ. ამ ყველაფრის შეძენისა და სარგებლობის დროს მფლანგველობას და ზღვარსგადასულობას უნდა მოვერიდოთ, ეს ჩვენი რწმენისეული ვალია.

თანამედროვე სამყაროში, განსაკუთრებით კი განვითარებულ ქვეყნებში, ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემათაგან ერთ-ერთი უმთავრესი არასწორი კვებაა. არაჯანსაღი, არანატურალური საკვები და ასევე ზედმეტი ჭამა მრავალი დაავადების გამომწვევია. ერთის მხრივ ასეთი ზღვარსგადასულობა, ხოლო მეორეს მხრივ მსოფლიოში მილიონობით ადამიანი უკიდურეს სიღატაკეში ცხოვრობს და შიმშილობს. არაფას სურას 31-ე აიათში ამ პრობლემის მოსაგვარებლად მნიშვნელოვანი გზავნილია.

„ჰეი, ადამის შვილნო! აიღეთ თქვენი მორთულობა ყოველ სალოცავთან, ჭამეთ და სვით, და არ გადახვიდეთ ზღვარს, უეჭველად, მას არ უყვარს ზღვარგადასულნი“.

შუამავალიც ყურანიდან აღებული ცოდნის გათვალისწინებით ცხოვრობდა და ამ მხრივ ჩვენთვის საუკეთესო მაგალითი იყო. რელიგიურ საკითხებშიც გამოხატული ზღვარსგადასულობა რელიგიის სათანადოდ უცოდინარობის ბრალია. შუამავალი კი მოგვიწოდებდა, რომ ჩვენი ქცევები გავაკონტროლოთ და ზღვარს არ გადავიდეთ. ცნობილია, რომ შუამავალმა ოსმან იბნ მუაზი დაიბარა და ასეთნაირად გააფრთხილა: „ იცოდე, რომ მე კიდეც მძინავს, კიდეც ვლოცულობ, კიდეც ვმარხულობ და კიდეც ვქორწინდები. ოსმან, ღმერთის გეშინოდეს. ყველას წინაშე ვალდებულება გაქვს, სტუმრის წინაშეც და საკუთარი თავის წინაშეც. ასე რომ ზოგჯერ იმარხულე, ზოგჯერ ჭამე, ნამაზის ილოცე და დაძინებითაც დაიძინე“.

როგორც ვხედავთ ღვთიურ ბრძანებესა და შუამავლის რჩევებში ერთი მნიშვნელოვანი ხაზია, რომელიც ნებისმიერ ქმედებაში ზომიერებას გვასწავლის და ზღვარსგადასულობას გვიკრძალავს. ამ მოწოდებების გათვალისწინების გზით ადამიანი ფიზიკური და სულიერი წონასწორობის შენარჩუნებას შეძლებს. ყოველი პრობლემა ზღვარსგადასულობისგან მოდის.

სადად ცხოვრება

უმმუგულსუმ თათ

ფილაქნები...
ერთიმეორის მიყოლებით ალაგია გზაზე.
გზა გრძელდება...
გზა შორდება...

გზა თავის ხმასა და სიჩუმეს ირგვლივ, ორივე მხარეს მიმოაბნევს. სახლები, ადამიანები, ცხოვრება ამ გზის ორივე მხარესაა მიმობნეული. აი, ეზნის ხმა გაისმა. აი, დილა თენდება. თითქოს ჩვენს წინ „ბეწვის ხიდია“. ჩვენი ნაბიჯებიც ამიტომაა ასეთი მყარი და ასეთი ჩუმი. ყოველი ნაბიჯი უფრო და უფრო მოკრძალებული ხდება.

კარებს წინ იასამნის სურნელება იფრქვევა. ხეებს ის ადგილები მოუნახავს და აშოლტილა, სადაც სახლის პატრონს სურდა, რომ ყოფილიყვნენ. ეს ფილაქნები ჯერ კიდევ მაშინ იყო, როცა სიტყვა ტროტუარი არ იყო გამოგონილი. ჩვენ ხომ წუთისოფლის სტუმრები ვართ.

რომელიმე სახლის, ოჯახის, გულის ან დედამიწის სტუმრობა ჩვენი, ადამიანური მეხსიერების კუნჭულში აბრეშუმის თავშალს შლის.

ამ აბრეშუმის მანდილს მიღმა ოროთახიანი სახლები, იატაკზე გაშლილი სუფრები, ცალუჯრიანი ფანჯრები და მჭიდროდ ნაქსოვი ფარდები მოსჩანს.

ის უჩუმრად, სხვებისგან ფარულად გადახვეწილი ოცნებები...

უსაზღვროდ გაგრძელებული წვიმები...

სკივრის კუთხეში ჩარჩენილი ფოტოები, რომლებიც ვინმეს გახსენებას ელიან. აბრეშუმის მანდილს მიღმა დღევანდელობის შფოთვისგან თავისუფალი, მაგრამ დღევანდელის აზრზე მყოფი სიცოცხლე მოსჩანს.

...

იმ ქუჩაზე გავლისას ადამიანი წვიმის, ნესვის და რამადანის სუნს გრძნობს. მისი ღამე და დღე სხვადასხვანაირად ლამაზია. დღისით სახლების ფანჯრებზე ფარდებია ჩამოფარებული, ღამით კი გამთენიისას ფარდებს მიღმა სინათლე ინთება. მისაღებში დივანი, ოთახებში ტახტი, ფანჯრის რაფებზე კი მურაბიანი ქილებია ჩამწკრივებული. არ-

ცერთი მათგანი თვალს არ აღიზიანებს და მითუმეტეს არც გულს. მაღალი ფარდების მიღმა ვინმეს ვერ დაელაპარაკები. მაღალი ფარდების მიღმა ვინმეს ვერ შეეხმიანები.

დილის ნამაზი, ბარაქიანი წვნიანი, შუადღის ჩამოჯდომა, სკოლა, საღამოს დაღლილობა... არცერთი სცენა არ მეორდება და არცერთი მეორეს არ უსწრებს. კარზე კაკუნისას სახეებს არ ვიჭმუხნით და ბაირამის დღეებშიც არ ვთიშავთ ტელეფონს. არავინ ამბობს: „რაც არის, არის და რაც არ არის არ არის“.

ხელზე კოცნა, ყავის მირთმევა, ოღონდ ასაკის მიხედვით,რიგრიგობით... ირგვლივ ეს ყველამ იცის. იციან, რომ წყალი უმცროსისაა და სიტყვა უფროსის. აქ მარტოობისგან, უთვისტომობისგან, ტყვეობის ტრაგედიისგან კი არ ბნელდება ცხოვრება,აქ კმაყოფილება სუფევს ყველგან.

ყველა თავისი ხვედრით კმაყოფილია. ლოდინის, შეხვედრის, განშორების წესი და რიგი არსებობს. ჩვენი ცხოვრება დიდი და თვალსაჩინო რამეების ნაცვლად, მცირე, მაგრამ დასამახსოვრებელი მოგონებებითაა სავსე. არავინ იცი, ვის ვინ უყვარს, ვის ვინ ენატრება...

სახლების მსგავსად ოცნებები და ლოცვები გვერდიგვერდ ლაგდებიან. „ლოცვებ-

ში მომიხსენიე“ ამ ფრაზას აღარ ეუბნებიან ერთმანეთს, რადგან ლოცვის დროს ყველასთვის ლოცულობენ, ოჯახის წევრების, ძმების, მეგობრების, ახლობლების, მეზობლებისთვის.

ჩვენი ღიმილი და ცრემლები სულაც არაა ცუდი დასანახი. ირგვლივ სიმშვიდეა. ირგვლივ უბრალოებაა. საკუთარი თავის ცოდნა და ღვთის წინაშე მსახურებაა. ყოველი ფერი და ორნამენტი განსხვავებულ მნიშვნელობას ატარებენ. აქ არ არის განშორებები, გაუცხოება, განხეთქილება. აქ ყველას სურს, რომ ყველაფერი ლამაზი და სადა იყოს.

ის დღეები, ის დრო, რომელსაც ასე ვაფასებდით... ის გზები, რომლებიც გავიარეთ... ის დრო, როცა მადლობის გადახდა ვიცოდით და რომელსაც ვერ ვივიწყებთ, ჩვენია და ჩვენთან დარჩება. რაც არ უნდა იყოს ცხოვრება არ გვბეზრდება. ცხოვრება ვერ ღლის ჩვენს სულსა და გულს.

ყოველი ახალი დღე სრულიად განსხვავებულად წარსდგება ჩვენს წინაშე. უცხონი რომ ვიყოთ, ერთიმეორის შესახებ რომ არაფერი ვიცოდეთ, პირისპირ დავსხდებით და ერთიმაორისთვის სათქმელ სიტყვებს გამოვნახავთ.

სიცოცხლე რა ხანგრძლივია და რაოდენ ხანმოკლე, რადგან ის კარზე ზარის დარეკვისას გამოტოვებული შუალედის ტოლა დროში უბრალოებასა და უმწიკვლოებაში გარბის.

...

ერთ დილას უზარმაზარი სამუშაო მანქანების ხმაურში იწყება დილა გზის ორივე მხარეს. ის ფილაქნები სწრაფად, მოურიდებლად და უხეშად აჭყარეს. მის ადგილას ფენა-ფენა ასფალტს აგებენ. ყოველი ფენა ასფალტის დაგებისას გზა მოკლდება. ყოველი ფენა ასფალტის დაგებისას გზა ვიწროვდება. ხმისა და სიჩუმის ჩრდილები უმალ ქრებიან.

ტროტუარები, უცნაური და უცხო ხეები, უზარმაზარი კორპუსები დღითიდღე ცვლის ჩვენს ცხოვრებას.

ჩვენს თვალწინ სალმისა და სიტყვის ფასი ძირს ეცემა და თვალწინ იმსხვრევა. უკვე ვინმე ვინმეს აღარ ესალმება. აქ ვინმე ვინმეს გზას აღარ უთმობს. აღარც ერთიმეორის მოკითხვა, აღარც ღიმილი...

დილის ნამაზის შემდეგ ის ბარაქიანი წვნიანი აღარ დგას ღუმელზე. წყალი რომ უმცროსის იყო და სიტყვა უფროსის, ვინდა

დაგიდევს. ვიღას ახსოვს ფაქიზად ნაგები ოცნებები ან სკივრში შენახული მოგონებები?!

კარების წინ სადღა არის იასამანი, მის მაგივრად სანაგვე ყუთი დადგეს. ყველა ერთი პრინციპით ცხოვრობს უკვე და გამუდმებით გაიძახიან: „ეს ჩემია!“ დედამიწა უკვე ძალიან რთულ და დამღლელ ადგილად გადაიქცა. აღარავინ ამბობს „ჩვენ“, მხოლოდ „მე“. ყველა ფუფუნების მოტრფიალედ გადაიქცა და მის მოსაპოვებლად სწირავენ დღეებს და ღამეებს.

დიდი, უხეში და თვალსაჩინო ნაგებობებით იმსხვრევა ესოდენ ლამაზი უბრალოება. უკან რომ მივიხედვათ რაც გვენატრება ჩვენი ბავშვობა,ჩვენი დღესასწაულები,ჩვენი დილა და წვიმის თქრიალი...

ჩვენ უკან რომ მივიხედავთ ის უბრალოება და სისადავე გვენატრება.

ეჰ ქვაფენილო...

უბრალოება და სისადავე თითქმის დავიწყებულია, როცა მე შენთან ვდგავარ. შენ ჯერ კიდევ იმედიანად ელოდები იმ ადამიანებს, რომლებიც ერთმანეთს ესალმებიან, მოიკითხავენ და უღიმიან.

წარსულიდან დღემდე უბრალოება და მოხერხებულობა

ნევინ მერეჩ

ადამიანს აქვს უნარი გააკეთოს ხელსაწყოები, ამიტომ ყველა გარემოში ახერხებს ცხოვრებას. ადამიანის და გარემოს, ადამიანის და მატერიის ურთიერთობა მუდმივად მრავალფეროვანი ხდება. რელიგია,გარემოსთან დამოკიდებულება და სხვა ფაქტორები საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა ფორმებს წარმოგვიდგენს. კულტურული გაგებით ეს სხვადასხვა ფორმები ადამიანის მიერ სხვადასხვა გარემოში ცხოვრების შედეგად გამომუშავებული პრაქტიკისა და გამოცდილების ერთობლიობაა. ამრიგად ადგილობრივი კულტურული მახასიათებლები თაობიდან თაობას გადაეცემა და ამასთანავე საზოგადოებრივ დაჯგუფებებს შორის ურთიერთგაცვლითი ეფექტის მატარებელია.

ტრადიციული პერიოდების ანალიზისას დგინდება, რომ საზოგადოებრივ ცხოვრებაში მოთხოვნილებების დაკმაყოფილება თითქმის ერთნაირად ხდება. ტრადიციული

საზოგადოებრივი ცხოვრება, ადამიანისა და მატერიის ურთიერთობის თვალსაზრისით, სადად ხორციელდებოდა. არქივებს თუ გადავხედავთ, ზოგან წერია, რომ კონკრეტულ მემკვიდრეს რამოდენიმე თეფში მიუღია და ეს იმ დროინდელი საშუალო შემოსავლის ოჯახს წარმოადგენს. ფრანგი მწერალი პიერ ლოტი (1850-1923) თავის წერილებში უბრალოებაზე საუბრისას მაგალითად თურქებს მიუთითებდა. „უბრალოებაში პომპეზურობა, სიჩუმეში ხმაური, უმოქმედობაში მგრძნობიარე სიცოცხლისუნარიანობა, ხოლო მბჟუტავი ცხოვრების შიგნით მიმზიდველი ჭეშმარიტება მხოლოდ თურქებში იგრძნობა“- წერდა ის. შესაბამისად ცხოვრების სტილის სისადავე კონკრეტული ეპოქის განვითარების დონესთანაც ახლო კავშირშია. აქ შეიძლება ერთი კითხვა წარმოიშვას: ადამიანი-მატერიის ურთიერთობაში რა სახის ცვლილებები ხორციელდება?

ცივილიზაციამ და ტექნოლოგიის სწრაფმა განვითარებამ შემდეგ პერიოდებში ადამიანის მხრიდან მატერიისადმი დამოკიდებულება რადიკალურად შეცვალა. ჩვენი დამოკიდებულება მატერუალური აქტივების მიმართ განსხვავებულია. მოთხოვნილებებს ფუნქციისა და დროის მიხედვით მნიშვნელობაც შეეცვალა. მატერიისადმი ფიზიკურ მოთხოვნილებებს „გრძნობებიც“ მიემატა და ამრიგად მისი საჭიროებისა და დროის არეალი შეიცვალა.

ამას ემატება გარე მამოტივირებელი ფაქტორები, როგორიცაა რეკლამა, ფასდაკლება და სხვა,რაც სამომავლოდ საჭირო ნივთის ახლა შეძენას გვაიძულებს. აქ წარმოიშობა პრობლემა, რომელიც შემდგომში გამოსაყენებელი ნივთის მოპოვების გამო მის გამოყენებამდე არსებული დროის დაკარგვას გულისხმობს და ამსთანავე ადამიანი ცდილობს მომავლის ერთგვარი ფორმირება მოახდინოს. ეს იწვევს მოთხოვნილებების გაზრდას და იმაზე მეტის აღებას,რაც რეალურადაა საჭირო. ვისაც ხელი მიუწვდება ის იღებს ზედმეტს და რაც თავის მხრივ სხვების უფლებების დარღვევას და შეიძლება ითქვას მშივრად დატოვებას იწვევს. ამ თვალსაზრისით, შეზღუდული რესურსების პირობებში, საჭიროზე მეტის შეძენა და მისი შენახვა სხვა ადამიანების მშვრად დატოვების ერთ-ერთი მიზეზია.

გარდა ამისა არსებობს მოთხოვნილებების დიდი მრავალფეროვნება. ზედმეტად გაზვიადებული მოთხოვნილებების მრავალფეროვნება ადამაინებს პანიკაში აგდებს და ისინი ცდილობენ იმაზე მეტი შეიძინონ/აწარმოონ, რაც რეალურად საჭიროა. ამგვარი ზედმეტი მოთხოვნილებები ადამიანს აბნევს და უმეტესწილად არამართებულ გადაწყვეტილებებს იღებს. ამას ემატება სხვა სიგნალებიც,მაგალითად სავაჭრო ცენტრებში ჩართული მუსიკა, ხალხმრავლობა, რეკლამა და სხვა.

თანამედროვე საზოგადოებაში ამ და მსგავს სიტუაციებში წარმოქმნილი ნეგატიური ფაქტორები ადამიანთა ყოველდღიურ ქცევებზე მოქმედებს. განვითარებულ ქვეყნებში ხშირია საპროტესტო გამოსვლებიც, სადაც ადამიანები ზედმეტ წარმოებას და ხარჯვას აპროტესტებენ. ასეთი საპროტესტო აქცია ყოველი წლის ნოემბერში ტარდება და ადამიანები „არაფრის ყიდვით“ გამოხატავენ პროტესტს. ეს აქცია 2006 წელს 30-მდე ქვეყანაში გაიმართა. აქედან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ადამიანის ბუნებაში უფრო ნაკლებით დაკმაყოფილებისთვის მზაობა არსებობს.

ისლამის მიხედვით მდიდრებმა ზექათი უნდა გასცენ, ხოლო ღარიბებმა მოწყალება აიღონ. ეს რეგულირება მდიდრებისგან ზედმეტის განტვირთვას და ღარიბების მდგომარეობის გაუმჯობესებას რელურს გახდის. ეს რელიგიური ვალდებულებაა და ამ დროს ერთი ადამიანი მოწყალების გაცემით მეორის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას უზრუნველყოფს. ასეთი ურთიერთობა ორივე მხარის როგორც ფიზიკური, ისე სულიერი განვითარების უზრუნველყოფას შეუწყობს ხელს.

რელიგია და სხვა დისციპლინები ადამიანებისთვის სწორად ცხოვრების მაჩვენებლებად ითვლებიან და ისინი თავიანთ შე-

გონებებში უბრალოებისკენ იხრებიან:

„და ნუ იქნებით მსგავსი მათი, რომელნიც თავიანთი სახლებიდან ქადილითა და ხალხის დასანახად გამოვიდნენ, და ეღობებიან ალლაჰის გზაზე. ხოლო ალლაჰი გარემოიცავს, რასაც სჩადიან“. (ენფალ 47)

ფილოსოფიის ძირითადი პრინციპიც უბრალოება და ბუნებრივობაა. შესაბამისად მოთხოვნილებების მინიმუმამდე დაყვანას ენიჭება უპირატესობა.

ადამიანური ურთიერთობების საკითხშიც უბრალოებაა მნიშვნელოვანი. თავაზიანობა, ზრდილობა, სინაზე, ეს ის თვისებებია, რომელიც მაღალი ზნეობის მახასიათებლებად ითვლება და ამ თვისებების მატარებელი ადამიანის მიმართ სიყვარულსა და პატივისცემას ვგრძნობთ. სიამაყე და ამპარტავნება ნეგატიურ დამოკიდებულებას იწვევს. ამას ადასტურებს კვლევები იმ ადამიანების შესახებ, რომლებმაც სხვების სიყვარული დაიმსახურეს და განსაკუთრებული პატივისცემით სარგებლობენ. სიყვარული და სინაზე ადამიანის თვისებაა, ხოლო ბრაზი და რისხვა -ცხოველისა, ამბობდა მევლანა. გამომდინარე აქედან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ადამიანის სული უბრალოებისა და სიმარტივისკენ არის მიდრეკილი. ბუნებრივია ეს ხელოვნებისა და ესტეთიკური სი-

ლამაზის უგულებელყოფას სულაც არ ნიშნავს. ხელოვნება თავის არსში უბრალოებას გულისხმობს. ყველა სრულყოფილების საფუძველში სიმარტივე და უბრალოებაა. მხოლოდ სისადავეში გამოხატული თვალსაჩინოებაა ეფექტური. ამას ყველაზე უკეთ ქააბას მაგალითზე ვგრძნობთ. ქააბას გარეგნული სახე უკიდურესად სადაა, მაგრამ მისი მნახველი საოცარი ზეგავლენის ქვეშ ექცევა.

თვალისმომჭრელი და ზედმეტად „კაშკაშა“ რამეები შფოთვას იწვევს და ადამიანი მისგან შორს ყოფნას ირჩევს. ასეთი თვალისმომჭრელი რაღაცაები გვაგრძნობინებს, რომ ის სხვანაირია, უცხოა. სიამაყე, ამპარტავნება, მედიდურობა უარყოფითი თვისებებია და როგორც წესი ეშმაკისეულ მიმართულებად მიიჩნევა.

თანამედროვე საზოგადოებაში გამორჩეულობის სურვილი „ბრენდისადმი“ დამოკიდებულებაში ვლინდება. ბრენდის, მარკის ფლობა ადამიანს აიძულებს უფრო მეტი გადაიხადოს და ამასთანავე კლასობრივად უფრო მაღალ საფეხურზე აიწიოს. მისი ეს ლტოლვა ძირითადად გამოწვეულია არასრულფასოვნების კომპლექსით, რომლის ამოვსებასაც ამგვარად ცდილობს. გამომდინარე აქედან ეკონომიკასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებს ადამიანთა გრძნობებიც

განსაზღვრავს. საბოლოო ჯამში ასეთი გამორჩეულობის სურვილი ზედმეტ ხარჯვას ცხოვრების ნორმად აქცევს.

საბოლოო ჯამში უბრალოება და ფუფუნება ორივე საზოგადოებრივი ცხოვრების სტილის განსაზღვრაზე დიდად მოქმედებს. ფუფუნება და ზედმეტი ხარჯვა ადამიანის უკმარისობის გრძნობას უმძაფრებს და ზღვარსგადასულობას ნორმად აქცევს, ხოლო უბრალოება შინაგან რწმენასა და სანდოობაზეა დამყარებული, რომლის შედეგადაც შინაგანი სიძლიერე ადამიანის ზომიერად მოქცევას განაპირობებს. ამ მიმართულებით ყველაზე ეფექტური სწავლება, შეგვიძლია ვთქვათ, რომ რელიგიური ცოდნის გაღრმავებაა.

muslim georgia
muslim georgia international charity foundation

ამპარტავნება და გულადგულობა

დურსუნ აიან

არც სიმდიდრით ვიამაყებ,

არც სიღარიბით დავმდაბლდები“

რელიგიური სწავლების მიხედვით ადამიანი ღირსეული და გამორჩეული არსებაა და საიქიოშიც შესაბამისი პასუხიმგებლობით წარსდგება. ყოველი მორწმუნე ადამიანი, ღრმად განსწავლულიც რომ არ იყოს, ასეთ ელემენტარულ ცოდნას რელიგიური თემაზე დაწერილ წიგნებში ამოიკითხავს ან კიდევ ხალხისგან ახლობლებისგან ისწავლის. ისლამის ცოდნა ასე, თაობიდან თაობაზე გადადიოდა. ვინც ღვთის არსებობა და ერთადერთობა იწამა და შუამავლის მოძღვრებას მისდევს, გარდა ღვთისმსახურებისა, ასეთი საუბრებით, აზრის სხვაზე გაზიარებითა და სასარგებლო რჩევებით ისლამის ცოდნის შესახებ ფართო საფუძველი შექმნა. ამგვარი ხალხში არსებული ცოდნა, არამარტო რელიგიის ცოდნას, არამედ ცხოვრების სხვა სფეროებსაც დადებითად წაადგება.

მექას გარე ტერიტორიებზე, შორეულ ქალაქებსა და სოფლებში, ყველგან არაბულის მცოდნე და რელიგიურად განსწავლული პიროვნებები არ იყვნენ, მაგრამ ისლამის მიღებამ, რწმენის საფუძვლებმა ხალხში მშვიდობიანი თანაცხოვრების განცდა ჩამოაყალიბა.

ამგვარი საუბრების დროს ზოგი ტერმინი ხალხისთვის უცხო იყო, რომლებსაც სწორი განმარტებები სჭირდებოდა. ასეთ ტერმინების განმარტებას მცოდნე პიროვნების გამოჩენამდე ელოდებოდნენ. დღეს ასეთი ადამიანები, რომლებსაც ხალხზე რელიგიის სწავლება შეუძლიათ გაცილებით ფართო საშუალებებს ფლობენ, შეუძლიათ ტელევიზიით, რადიოთი, ინტერნეტით ან წიგნებით ისარგებლონ და ხალხს ცოდნა მიაწოდონ, თუმცა პირდაპირი საუბრები მაინც სულ სხვაა.

ქარუნი, რომელიც სიმდიდრით იყო განთქმული, თითქოს ერთი ერთში ჰგავს ბევრ ჩვენს გარშემო მცხოვრებ ადამიანს. ისინი ისმენენ კრიტიკას, რომ ქარუნის ოდენა ქონება რომ ჰქონდეთ, საბოლოო ჯამში რა სარგებელს მოუტანს მათ. თუ ისინი ამ ქონებით სიკეთეს აკეთებენ ეს სწორი ქცევაა და ისინი მადლთან ერთად ხალხის სიყვარულს დაიმსახურებენ. თუ მხოლოდ საკუთარ ქონებას მიენდობიან და სხვის მიმართ აბსოლუტურ გულგრილობას გამოიჩენენ,

საბოლოოდ მაინც მოუწევთ თავიანთ ფულთან განშორება. ეს ორი ტიპის ადამიანი განსხვავებული სახის სიმდიდრეს ფლობს. ამგვარი შეფასების მიზანი სიმდიდრის კრიტიკა კი არ გახლავთ, არამედ ჩვენ გვინდა ადამიანობის მნიშვნელობა წამოვწიოთ წინ.

ყურანი მოგვითხრობს იგავს, რომლის მიხედვითაც ქარუნი, რომელიც უმდიდრესი იყო, საბოლოო ჯამში განადგურდა, რადგან ამპარტავანი და ურწმუნო იყო. მსგავსი მაგალითები ყურანში კიდევ არის მოთხრობილი. ერთ-ერთი ასეთია ფარაონის ამბავი. ეს ის ადამიანები იყვნენ, რომლებიც საკუთარ ქონებასა და მდგომარეობას ენდობოდნენ და გამჩენი დაივიწყეს. მათი მაგალითი საკმარისი უნდა იყოს საიმისოდ, რომ დღევანდელ მდგომარეობასთან პარალელები გავავლოთ. მსგავსი ადამიანების დანახვა თანამედროვე პირობებშიც მრავლად არის შესაძლებელი. ამასთანავე იმამ ებუ ჰანიფეს რჩევაც უნდა გვახსოვდეს, რომლებიც ძუნწებს აკრიტიკებდა. ამგვარ საკითხებში ისევ და ისევ ერთი ძირითადი პრინციპი უნდა გავითვალისწინოთ. ეს არის ზომიერება.

გარდა ამისა იყვნენ ხალხები, რომლებიც განადგურდნენ, რადგან თავიანთი ეპოქის შუამავლებს არ დაუჯერეს. ასევე განადგურდნენ ის ხალხები, რომლებმაც ფიზიკური ძლევამოსილება ყველაფრად მიიჩნიეს

და ღმერთის არსებობა დაავიწყდათ. ისინი მტკიცე და მაღალ შენობებსა და ციხესიმაგრეებს აგებდნენ. ისინი გათამამდნენ, გაყოყოჩდნენ და ვინ არის ჩვენზე ძლევამოსილიო, ამბობდნენ. შუამავლები ჭეშმარიტი რწმენისკენ მოუწოდებდნენ, მაგრამ ისინი ყურსაც არ ათხოვებდნენ და მათი თავგასულობა შუამავალ ჰუდის დრომდე მოაღწია. მათ არც შუამავალ ჰუდს დაუჯერეს და თავისას აგრძელებდნენ. შუამავალი ჰუდი მოთმინებით აგრძელებდა შეგონებას და ასე გადიოდა წლები. ბოლო ღმერთმა იმ ტერიტორიაზე ისეთი საშინელი გვალვები მოავლინა და ადამიანები ღონემიხდილნი ეყარნენ. ბოლოს ცაზე რაღაც გამოჩნდა. ხალხს ღრუბელი ეგონა, მაგრამ ეს იყო მხურვალე ქარი, რომელიც საბოლოო სასჯელად მოევლინა მათ. ამ ტიპის ადამიანები დღევანდელობას რომ შევადაროთ, ესენი არიან უხეშობით გამორჩეული, ფიზიკურ ძალას მინდობილი მოძალადეები.

ბუნებრივია რელიგიურ სწავლულებს შესაძლოა განსხვავებული მოსაზრებები გააჩნდეთ, მაგრამ საზოგადოებრივი განათლების კუთხით თუ შევხედავთ, ყურანის აიათები ბოლომდეც რომ არ გვესმოდეს, იმით ვიხელმძღვანელოთ, რაც გვესმის და ადამიანებს სასარგებლო რჩევები უნდა მივცეთ.

ოჯახში უბრალოება

პროფესორი იბრაჰიმ ემიროღლუ

ქორწინების შედეგად იქმნება ოჯახი, რომელიც საზოგადოებრივი მოწყობის ყველაზე მცირე, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი ერთეულია. სწორედ ოჯახია საზოგადოების ქვაკუთხედი.

ოჯახიარის ადგილი, სადაც ოჯახის წევრები ინაწილებენ პასუხიმგებლობას და ვალდებულებებს, იზიარებენ დარდსა და სიხარულს, სწავლობენ და ასრულებენ ღვთისმსახურებას და გააჩნიათ საერთო საზრუნავი და ღირებულებები. რადგან ოჯახი ამდენად მნიშვნელოვანია, ჩვენი რელიგია ქორწინებას და ოჯახის შექმნას დიდ მნიშვნელობას ანიჭებს და მორწმუნეებს ქორწინებისკენ მოუწოდებს. ჩვენი სარწმუნოება მხოლოდ მოწოდებებით არ შემოიფარგლება და ოჯახის სიმტკიცისა და ბედნიერების მიზნით ოჯახში ქცევის ნორმებს განსაზღვრავს და ორივე მხარეს პასუხიმგებლობას ანიჭებს.

ამ ნაწილში მხოლოდ უბრალოების თემაზე მინდა ვისაუბრო. თანამედროვე სამყაროში, როცა ტექნოლოგია ასეთი სისწრაფით ვითარდება, როცა მოთხოვნა-მიწოდების ასეთი ტემპია, როცა რეკლამა ათასგვარი მანიპულაციით ცდილობს ჩვენი არჩევანის შეცვლას, როცა ირგვლივ ყველაფერი ასეთი დამაბნეველი და ბრჭყვიალაა, ჩვენ ვგრძნობთ, რომ წარსულთან შედარებით უბრალოების მნიშვნელობა დღეს უფრო განსაკუთრებულია.

უბრალოება, სისადავე ფუფუნების, პომპეზურობის, თვალსაჩინო და ლუქსი რამეების საპირისპირო მნიშვნელობის ტერმინებია. საუბრის, ჩაცმის, ხარჯვის, ოჯახის შექმნის და მოკლედ ყოველდღიურ ცხოვრებაში ყველაფრის სისადავე და უბრალოება ადამიანის ბედნიერებისთვის განსაკუთრებულ როლს თამაშობს. საუბარი მოკლე, სადა, თავაზიანი და გასაგები უნდა იყოს. საუბრის დროს უხეშობა, ბილწსიტყვაობა, თავმოწონება, სხვების შეურაცხმყოფელი სიტყვებით საუბარი რელიგიურად და ზნეობრივად მიუღებელია. ან კიდევ, ხარჯვის დროს მოდაზე აყოლა, ფუფუნების საგნებში ზედმეტი ფულის გადაყრა, ახალი იმიჯისთვის ყველაფერზე წასვლა, სახლის ან სხვა შენაძენის დროს საკმარისზე შორს წასვლა და ამით ოჯახის ბიუჯეტის საფრთხეში ჩაგდება და მსგავსი ტენდენციები უბრალოებისგან

შორს დგას და შესაბამისად მოსაწონი არ არის.

თუ ცხოვრების საზომად უბრალოება არ არის აღებული, მაშინ ის სულიერებისგან დაიცლება, გრძნობები გაყალბდება და ირგვლივ მოჩვენებითობა გამეფდება. ამის შედეგად სიცოცხლის წონასწორობა დაირღვევა და დაუკმაყოფილებლობის გრძნობა იჩენს თავს. ამას დაემატება ამქვეყნიურ, მატერიალურ სიკეთეებზე გადაჭარბებული დამოკიდებულება და ფუფუნებაზე ორიენტირება ავადმყოფობად იქცევა.

ლუქსი ცხოვრება საჭირო მოთხოვნილებებზე გაცილებით მეტის მიღებაა. ამ შემთხვევაში ადამიანებს აქვთ უზარმაზარი სასახლეები, ოთახებში ავსებული ძვირიანი ავეჯი, რამოდენიმე ძვირიანი ავტომობილი, ყველა სახის ეგზოტიკური საკვები, ძვირიანი ტანსაცმელი, მოგზაურობები, დასვენებები, გართობა და სხვა. ადამიანის სურვილი ასეთი ცხოვრებისკენაა მიდრეკილი. მას რომ არ სურდეს ცოლ-შვილს მაინც ემდომება. ისინი ყოველდღიურად ტელევიზორში, ან ინტერნეტში ხედავენ ასეთ პირობებში მცხოვრებ ადამიანებს და მათაც იგივეს სურვილი უჩნდებათ. იმ ოჯახებში, სადაც ასეთი ამბიციები და მოთხოვნებია და რელობაში ვერ ხორციელდება, იწყება კონფლიქტები, უკმაყოფილება, ძალადობა და სხვა ნეგატიური მოვლენები.

ფუფუნებისადმი მიდრეკილების სურვილს ამქვეყნიურ სიამეზე ზედმეტი დამოკიდებულება, სიკვდილის დავიწყება და სულიერებისგან დაცლა იწვევს. რაც უფრო ძლიერდება ამქვეყნიური სიამის მიმართ სურვილი, ფუფუნებისკენ სწრაფვაც მითუფრო ძლიერდება. ამ სურვილს აყოლილი მრავალი ოჯახი დაინგრა და გადაშენდა. ამ გზაზე რამდენმა ოჯახმა შესწირა ტრადიცია და ღირებულებები. ფუფუნებისკენ სწრაფვაში რამდენი ადამიანი გაუბედურდა. ტელევიზიით თითქმის ყოველდღე ვხედავთ ფუფუნებას აყოლილი ადამიანების სავალალო შედეგებს.

დღეს დასავლურ სამყაროში, სადაც მატერიალური მდგომარეობა კარგია, ადამიანები სადა ცხოვრებისა და უბრალოებისკენ ილტვიან. ფუფუნებისკენ ლტოლვა ზედმეტ ხარჯებს, გაუმართლებელ ვალებს და ზღვარსგადასულობას იწვევს. ზღვარსგადასულობა კი ადამიანებს, ოჯახებსა და ზოგადად საზოგადოებას უბედურებისკენ მიაქანებს. ყურანში მრავალჯერაა ნახსენები, რომ ღმერთს ზღვარსგადასულნი არ უყვარს. გამოსავალი ისევ და ისევ ზომიერებაშია.

ჩვენ, ადამიანებს ასევე გვაუბედურებს ფანტაზიებზე აყოლა. ფანტაზიები დაუკმაყოფილებლობის ერთ-ერთი გამოვლინებაა. დაუკმაყოფილებლობა და უკმარისობა კი

იმის ნიშანია, რომ ადამიანმა არ იცის რა უნდა. თუ ადამიანი თავის გრძნობებსა და ფიქრებს გააერთიანებს და თავის ნამდვილ არსთან დააკავშირებს, ამით ის საკუთარ თავს შეიცნობს და შეიყვარებს. შესაბამისად ის შეიყვარებს სხვასაც. ვინც სისადავის საიდუმლოს ჩასწვდება ის დაინახავს, რომ ღვთით გაჩენილი ნებისმიერი რამ ძვირფასია, შესაბამისად ადამიანი მიხვდება, რომ სისადავე და ბუნებრივობა უფრო მიმზიდველია.

ჩვენ ვეძებთ ლამაზ ტანისამოსს, ლამაზ სამკაულებს, ლამაზ სახლებს და სიმდიდრეს, მაგრამ ყველაზე მთავარი ხომ ადამიანის შინაგანი სილამაზეა. თუ ჩვენს შინაგან სილამაზეს ჩავუკვირდებით და წარმოვაჩენთ, მივხვდებით, რომ ჩვენი შინაგანი სამყარო ძალიან მდიდარია. ამ გზით თუ ვივლით, ვნახავთ, რომ ყველაზე ხანგრძლივი და ღირებული არა მატერიალური სიკეთე, არამედ სულიერი სიკეთეა; ჩვენი რწმენაა, ჯანმრთელობაა, სიყვარულია, სიკეთეა, მეგობრებია, ნდობაა, სიმშვიდე და სხვა.

თანამედროვე ცხოვრება სულ რაიმის შეძენისკენ და ფულის ხარჯვისკენ გვიბიძგებს. ამ დინებაში მოყოლილი ადამიანები თავს ვეღარ აღწევენ და ძალაუნებურად მიჰყვებიან. ამის შედეგად ცხოვრებას ისე გახარჯავენ, რომ ვერაფერს გაიგებენ. ამ დი-

ნების შესაჩერებლად, უპირველეს ყოვლისა, უნდა შევძლოთ და ყოველი ზედმეტისგან უნდა გავთავისუფლდეთ. ზედმეტი ქონება და ფული ზედმეტი დარდი და ზედმეტი პასუხიმგებლობაა. ქონების მოგროვება ცალკე დარდი და საზრუნავია, მერე მისი დაცვა ხომ უფრო მეტი დარდი და საზრუნავი, მისი დაკარგვა კი უკვე საშინელ უბედურებად ეჩვენება ადამიანს. ამიტომ ნორმალური ცხოვრებისთვის, ოჯახში სითბოსა და სიყვარულისთვის რაც საჭიროა ის უნდა ვიკმაროთ და იმაზე მეტი უკვე პრობლემებს ქმნის.

ნივთს, რომელსაც ვყიდულობთ, რამდენად გამოსადეგია, ვფიქრობთ?

ან ყურადღებას თუ ვაქცევთ მის საჭიროებას?

ან ვალში ჩავარდნისა და კრედიტის აღებისგან საკმარისად თუ გვეშინია?

რაიმეს ყიდვისას სიძვირე, სიაფე, მიმბაძველობა კი არ უნდა იყოს მთავარი, არამედ მისი საჭიროება. ეს უნდა იყოს ძირითადი საზომი.

გარდა ამისა ოჯახში ზედმეტი დანახარჯები, უსარგებლო საუბარი, სხვისი აბუჩად აგდება, გაბრაზება, ძალადობა, ჭორი, ცილისწამება, ენის მიტან-მოტანა და სხვა მსგავ-

სი ცუდი ქცევები ჩვენი ცხოვრებიდან უნდა ამოვშალოთ.

ოჯახური ცხოვრება რაც შეიძლება სადად უნდა წარიმართოს და ამვდროულად დადებითი გარემოს შექმნას უნდა ვეცადოთ. ამისათვის საჭირო ა ჩვევად დავნერგოთ ისეთი კარგი რამეები, როგორიცაა ღვთისმსახურება, ვედრება, ყურანის კითხვა, წიგნების კითხვა, საუბარი, ახლობლების მონახულება და სხვა.

ოჯახს და ბავშვებს ისეთი მეგობრები უნდა გავაცნოთ, რომლებიც სადა ცხოვრებით ცხოვრობენ და მათი სიახლოვე, ხშირი სტუმრობა და ურთიერთობის განვითარება უნდა უზრუნველვყოთ.

ყველა ადამიანის სახლი მისი არჩევანის შესაბამისია და ავეჯიც მისივე გემოვნებითაა შერჩეული. სახლისა და ავეჯის არჩევისას მთავარი ყურადღება უსაფრთხოებას, სიმშვიდეს და მსგავს დადებით ფაქტორებს უნდა მიექცეს და არა იმას, რომ მეზობელმა თუ იყიდა რამე ჩვენც აუცილებლად ვიყიდოთ.

ან კიდევ, ადამიანები ხედავენ რეკლამას და არც კი კითხულობენ სჭირდებათ თუ არა, ისე ყიდულობენ. ასე შეძენილი ნივთები უმეტესწილად სადმე კუთხეშია დაყრილი და იმტვერებიან.

ან სახლში რატომ გვაქვს იმდენი ყვავილები, რომ თუ მოვიმდომებთ ყვავილების მაღაზიას გავხსნით?

რატომ ვყიდულობთ სამზარეულოსთვის იმდენ ჭურჭელს, რომ აღარსად ეტევა?

როცა ავეჯი ისევ გამოსადეგია, რატომ ვყიდულობთ ახალს და ძველს ვყრით?

სახლის ავეჯისა და სამზარეულოს ნივთებისთვის დახარჯული ფულის რამდენ პროცენტს ვხარჯავთ წიგნებისთვის? რატომ ხდება, რომ ძვირიან მანქანებში და სხვა ძვირიან სერვისებში უამრავ ფულს ვყრით და წიგნებისთვის და სხვა განათლების საშუალებებისთვის გვენანება?

რატომ ღვთის კმაყოფილებასა და შუამავლის გზას არ ვითვალისწინებთ და „სხვა რას იტყვის“ იმაზე ვფიქრობთ და ამ ფიქრში გაუთვალისწინებელ და უაზრო ხარჯებში ვვარდებით?

ნუთუ ჩვენც ისეთი არასრულფასოვნების კომპლექსი დაგვემართა, რომელიც გვაიძულებს ძვირიანი მანქანებით, ავეჯით, ტანსაცმლითა და სხვა ფუფუნების საგნებით საკუთარი უპირატესობის დამტკიცებას ვცდილობთ?

მოკლედ, თუ ჩვენ გვინდა ბედნიერი საზოგადოება ჩამოვაყალიბოთ და მშვიდად და უსაფრთხოდ ვიცხოვროთ, ჯერ კარგი ოჯახი უნდა შევქმნათ. ოჯახი ჩვენთვის ძალიან დიდი შესაძლებლობაა. ოჯახში ისლამის წესების შესაბამისი სადა და თბილი გარემო უნდა დავამკვიდროთ. ამ პროცესში არ უნდა დავუშვათ, რომ ყიდვა-შეძენის აზვირთებულმა ტალღამ წაგვიღოს. ხშირად შევახსენოთ საკუთარ თავს და ოჯახის წევრებს თუ როგორ ცხოვრობდა ჩვენი საუკეთესო მაგალითი, შუამავალი.

muslim georgia
muslim georgia foundation
muslim georgia international charity

სიკოცხლის სადად ვაცარება

ვედათ ალი თოქ

„ქეფინს სისადავის გარდა სხვა ფერი არ გააჩნია“.

ნაბი

ამქვეყნიურ მრავალფეროვან სილამაზეს თუ შეიყვარებ, ამ წუთისოფლის სიყვარულს თუ დაუთმობ გულს, იცოდე, რომ უსასრულობისკენ მიმავალ გზაზე სუდარით უნდა დაადგე და სუდარას სისადავის გარდა სხვა ფერი არ გააჩნია.

XVII საუკუნეში, მაშინ, როდესაც არც ამბომობილები, არც კომპიუტერი, არც ატომური ბომბები, არც დისტანციური მართვითი ხელსაწყოები გამოგონებული არ იყო, ცხოვრობდა პოეტი, სახელად ნაბი, რომელიც იმ პერიოდში მცხოვრებ ადამიანებს სადა ცხოვრებისკენ მოუწოდებდა, თუმცა, ჩვენი გადასახედიდან ჩვენ ვფიქრობთ, რომ ის

ადამიანები უკიდურესად სადად ცხოვრობდნენ.

ნაბის თავისებური, განსხვავებული წერის სტილი ჰქონდა. ის თავისი პერიოდის „ფოტოგრაფი“ იყო, რადგან მიმდინარე მოვლენებს ლამაზად და დიდი სიზუსტით გადმოსცემდა. ის გაბედულად აკრიტიკებდა საზოგადოების მავნე დამოკიდებულებებს და გამოსავალსაც სთავაზობდა.

პოეტი, მწერალი მაშინ ფასდება თუ ის თავის ეპოქას გასცდება. სწორედ ასეთი პოეტი იყო ნაბი. მისი ლექსები არამარტო იმ კონკრეტული ეპოქის, არამედ თანამედროვე ადამიანსაც ეხმიანება.

ნაბი თავის ლექსში ადამიანს პირდაპირ ახსენებს, რომ წუთისოფელი წარმავალია. არცერთი სულიერი არ არის უკვდავი. ამიტომ ამდენი შფოთვა, წვალება და მცდელობა შეცდომაა. ცხოვრების ყველა სიამოვნების მიღება თუ სცადა ადამიანმა, მაშინ ის ამქვეყნიურ ცხოვრებას ეჯაჭვება. ის სიკვდილზე აღარ ფიქრობს. ასეთი ადამიანისთვის სიკვდილი განსაკუთრებით რთულია, რადგან მას ამქვეყანასთან განშორება უკიდურეს ტკივილს აყენებს. არადა სიკვდილი მხოლოდ ხიდია ნამდვილი სიცოცხლისკენ. ის არის ერთადერთი საშუალება, რომ ჭეშმარიტ სამშობლოში მოვხვდეთ.

მეთექვსმეტე საუკუნეში მოღვაწეობდა სახელგანთქმული პოეტი ბაქი, რომელიც კანუნი სულთან სულეიმანის სიკვდილის მერე წერდა, რომ წუთისოფელზე ზედმეტი მიჯაჭვულობა უგნურებაა. ის ამბობდა, რომ ქანუნის მსგავსი ძლევამოსილი სულთანიც კი სიკვდილმა დაამარცხა. ბაქი ამბობს, რომ ამქვეყნიური ძლევამოსილების ძიება საბოლოო ჯამში ფუჭია.

ყურანის მიხედვით ადამიანი ოქროს შუალედს უნდა იჭერდეს და ისე მოქმედებდეს. არც ამქვეყნიურზე გადაყოლაა სწორი და არც მთლად დავიწყება შეიძლება ამქვეყნიური ცხოვრების.

ყველაზე დიდი სიმდიდრეა დაკმაყოფილდე იმით, რაც გაგაჩნია. არადა ადამიანებმა არ ვიცით იმის ფასი, რაც გვაქვს და სანამ გვაქვს.

ხალხში გავრცელებულია ფრაზა: „ზედმეტი იყოს, ნაკლები ნუ იქნება“. ნაბი ამ ფრაზას არ იზიარებს და ამბობს, რომ ზედმეტი ყოველთვის ზიანის მომტანია.

ნაბი ქონებას და ფუფუნებას მოვარდნილ წყალს ადარებს. ბაღში ბევრი წყალი რომ შევარდეს ყევლაფერს მოსპობს და ბოლოს ბაღის კედლებსაც დაანგრევს. ამ შედარებაში ბაღი ადამიანია. კარი და კედლები კი ადამიანის გული და სულია.

ნაბი ამბობს, რომ ზიზილ-პიპილებისგან შორს უნდა ვიყოთ და ზედმეტი რაც გაგვაჩნია სხვას ვუწილადოთ.

დღეს თუ დავაკვირდებით ბევრი ისეთი რამ გვაქვს, რაც გვგონია, რომ გვჭირდება, მაგრამ რელობაში ისინი არ გვჭირდება. გვაქვს ისეთი რამეებიც, რომლებიც არ გვჭირდება, მაგრამ რომ არ გვქონდეს სხვები რას იფიქრებენო, ვფიქრობთ. ამ დროს გვიწევს სესხის აღება და შემდეგ მის გასტუმრებაზე ვწვალობთ. ამრიგად ჩანს, რომ ადამიანი ხშირად თავად იგდებს თავს სტრესულ მდგომარეობაში.

ადამიანს მხოლოდ ფულის დაგროვების სურვილი კი არ აუბედურებს, არამედ სახელისა და დიდებისთვის ნამეტანი ზრუნვაც. ნაბი ასევე გვირჩევს, რომ სახელისა და დიდების ძიებისგანაც თავი უნდა შევიკავოთ.

ადამიანი, რომელიც რაც გააჩნია იმითაც კმაყოფილია და ზომიერად ცდილობს წარმატებას, თავადაც ბედნიერია და გარშემომყოფებსაც არ აწუხებს. ადამიანზე მინიჭებული სიცოცხლე შეზღუდულია, ამიტომ მხოლოდ ისეთი რამეებისთვის ღირს გარჯა, რაც მუდმივია. ამიტომ ადამიანმა თავისი ამქვეყნიური სურვილები და მისწრაფებები უნდა შეზღუდოს, რათა ცხოვრება ასეთ უაზრო რბოლაში არ შემოეხარჯოს.

ბავშვი, რომელმაც ცხოვრების დინება შეცვალა

იუნუს ემრე თოზალ

ჩემი თვალები ზღვა მეგონა მზის წინაშე

მე ის ბავშვი ვარ, რომელიც ქაღალდისგან გაკეთებული თვითმფრინავით შორეულ მხარეებზე ვვოცნებობდი და გაზაფხულის სიყვარულით სამყაროს აღფრთოვანებული შევყურებდი. მე გულჩახვეული ბავშვის გულიდან გეხმიანებით. ყოველი თვითმფრინავის დანახვაზე სირბილით მივყვებოდი და სულ მაინტერესებდა თვითმფრინავში მყოფები თუ მხედავდნენ. მე კლდის კიდეებზე ყვავილებს ვკრეფდი და ცხოვრების მიმდინარეობას კვალდაკვალ მივყვებოდი.

მე ის ბავშვი ვარ, რომელსაც მშობლები და პური ენატრებოდა და ვერ იძინებდა. ჰო, ხშირად შიმშილისგან რომ ვერ იძინებდა და ხშირად უილაჯობისგან რომ ჩაეძინებოდა, ის ბავშვი ვარ მე. ხელსახოცების გაყიდვით სიცოცხლეში სიცოცხლეს ვპოულობდი. წვიმის დროს კუთხეში მობუზული,

რატომღაც ადამიანებს თვალებს ვარიდებდი. თქვენ იცით როგორია ცხოვრება, როცა გრცხვენია?!

მე რომ ხელსახოცებს ვყიდი იმ ადგილიდან ჩანს როგორ ჩადის მზე და მე ყოველდღე ვუყურებ ამას. მე ყოვლდღე ვაცილებ მზეს. სადაც ხალხმრავლობას დავინახავ იქეთ გავრბივარ. ზოგჯერ ვგრძნობ, რომ ასეთ პატარა ასაკში მიღებულმა ცხოვრების გამოცდილებამ დიდი ტვირთით დამამძიმა და ვეღარ უნდა ვზიდო. ეგზიუპერი ამბობდა: „იცით, როცა ადამიანი ტკივილს გრძნობს, მზის ჩასვლა განსაკუთრებით უყვარს“... ეს სიტყვები გონებიდან არ ამომდის. მზის ჩასვლა მახსენებს, რომ მარკეტში პური უნდა ვიყიდო, ვჭამო და დავიძინო. რაც არ უნდა მძიმე იყოს ცხოვრება, ჩვენ ეს ცხოვრება უნდა ვიცხოვროთ, ეს ვიცი. უნდა ვიცხოვროთ და დავრჩეთ მართლები, მაგრამ თუ სიმართლე დავკარგეთ მერე ტყუილით ცხოვრებას დავიწყებთ.

მე ის თაობა ვარ ფუტკრების რომ არ ეშინოდა და კოცნიდა, პეპლების ფერებში რომ ჭეშმარიტების ფერს რომ ეძებდა და ძალიან ეშინოდა ჭიანჭველაზე ფეხის დაბიჯების. ჩვენ თეფშში საჭმელს ბოლომდე ვასუფთავებდით და ძირს დაგდებული პურის ნამცეცების გამო ვტიროდით, რადგან პურის მიმართ უსაზღვრო პატივისცემა გვქონდა.

ჩემს დანახვაზე თქვენში სინდისის ხმას ვერ აჩუმებთ და როგორ ახერხებთ ცხოვრებას მეობადარგულები? თქვენ ბავშვობა დაკარგეთ და რობოტად ქცეული სხეულებით სიყვარულს იგრძნობთ, გგონიათ? და საერთოდ, თქვენ იცით, რა არის სიყვარული? სიყვარული მხოლოდ მან იცის, ვინც შეყვარებულია.

თქვენ ჯერ თვითმფრინავს ადევნებიხართ? ან მოთმინება თუ შეგძლებიათ, როდესაც იმ შავმა მატარებელმა ძალიან დაგვიანა? თქვენ გაუძელით ცხოვრებას და ფრენა ისწავლეთ?

მე რძეს მოგიტანთ, ხელუხლებელს...

სრულიად ხელუხლებელი, ჯერ დაუგემოვნებელი იქნება ის რძე და ისეთი კაშკაშა, რომ თვალებს მოგჭრით. მე დაველოდები, რომ ჭეშმარიტების ციდან რძემ იწვიმოს...

ჩემი სიყვარული წვიმის მსგავსია და მე ამ ცხოვრებას ასე დასველებული ვიცხოვრებ.

ცხოვრება შეიძლებოდა, როცა იოლდება

ისა ქაიალფ

ცხოვრების გამარტივება ნიშნავს იცოდე სად რა გააკეთო და როდის, როგორ მოიქცე. ეს მარტივია. მისალმების დროს უნდა მიესალმო, მოკითხვის დროს მოიკითხო და გაჩუმების დროს გაჩუმდე და ა.შ. ცხოვრებას დაწერილი და დაუწერელი კანონები აქვს. დაწერილი კანონები წიგნში, წიგნებში ან სადმე წერია, ხოლო დაუწერელი კანობები ადამიანის შეგნებასთანაა დაკავშირებული.

ცოდნა, გამოცდილება, უშუალოება, თუ ამას ამპარტავნება არ ემატება, ადამიანს გამორჩეულს ხდის და მასთან კომუნიკაციის დამყარება იოლია. ამ მხრივ უბადლო მაგალითი, რა თქმა უნდა ისევ და ისევ შუამავალია. მან ზუსტად იცოდა ვის როგორ მოქცეოდა და ყველას საკუთარი შესაძლებლობის გათვალსიწინებით ეკონტაქტებოდა. სათქმელს არც დაამატებდა რაიმეს და არც ნაკლებს იტყოდა ხოლმე.

ცხოვრება რომ შევძლოთ ის უნდა გავაადვილოთ. გაადვილება გამარტივებას არ გულისხმობს. გაადვილება ნიშნავს რთულად გასაგები რამეების გაადვილებას. თუ რაიმე რთულია არ უნდა მოვეშვათ და უნდა გავაადვილოთ. სირთულე ყველა მეთოდის გამოყენებით უნდა ვცადოთ, რომ დავძლიოთ.

ყურანში გამოყენებული მიმართვის ფორმებიდან ცხადი ხდება, რომ მისი გზავნილები ყველა ადამიანს ეხება. ვინც მას კითხულობს ყველა საკუთარი შესაძლებლობების მიხედვით იღებს სიამოვნებას. მისი კითხვისა და მნიშვნელობის გაგების დროს ადამიანის გონებაში ცვლილებები ხდება და მკითხველი განსაკუთრებულ შეგრძნებებში ვარდება.

ყურანის მიხედვით ყველა ცოცხალი არსება წყლისგანაა გაჩენილი. წყალი ყველამ ვიცით რაც არის და მეცნიერულადაც ორგანიზმის უმეტეს ნაწილს წყალი შეადგენს.

ყურანში ასევე წერია, რომ ღმერთმა ადამიანი მიწისგან გააჩინა. ამ შემთხვევაში ადამიანები ამას ვერ გებულობენ, მაგრამ მიწის და მიწაში არსებული ნივთიერებების ცოდნა საკითხს გასაგებს ხდის. ამის ახსნა უსარგებლოც შეიძლება იყოს, იმდენად, რამდენადაც მისი გაგება რთულია, ამიტომ არ-

სებულის გართულება კი არა,რთული რამის იოლი ფორმით მიწოდებაა მნიშვნელოვანი.

ღმერთი ადამიანს იმდენად აკისრებს პასუხიმგებლობას, რამდენის გაგების უნარიც მას გააჩნია. ყველა იმდენადაა პასუხიმგებელი რამდენი სულიერი და მატერიალური პოტენციალიც მას გააჩნია.

ადამიანის სიცოცხლე დაბადებიდან სიკვდილამდე მიმდინარე პერიოდია. ამ გზის გავლას ცოდნა უნდა. უცხო გზაზე წასვლისას თუ ამ გზის მარშრუტს გავიგებთ გზის გაგნება გაიოლდება. ცხოვრებას ის ართულებს რაც არ ვიცით და ვერ ვგებულობთ. ასეთ შემთხვევაში ვინც შეძლებს სწორად ისწავლოს მთებს გადალახავს, ხოლო ვინც ვერ შეძლებს, სწორ გზაზეც დაიკარგება.

როცა მასწავლებელი მოსწავლეებს ახალ თემას უხსნის,ბავშვების გაგების უნარი უნდა გაითვალისიწნოს და ახალი ინფორმაცია ისე მიაწოდოს, ეს მიზნის შესაბამისი სწავლებაა. თუ ასე არ მოხდება ბავშვები საკითხის მიმართ ინტერესს დაკარგავენ. მასწავლებელი ამ დროს არამარტო მიზანს ვერ მიაღწევს,არამედ ბევრ ნეგატიურ დამოკიდებულებას გააღვივებს.

არსებული გარემოს შეუსაბამო, უფრო მაღალი საფეხურიდან ლაპარაკი საკითხის

გაგებას გაართულებს. გარდა ამისა წარმოიქმნელბა მოჩვენებითობისა და თვალთმაქცობის საფრთხე.

ადამიანებს სხვების საჩვენებლად რაღაცაების კეთება მოსწონთ. ეს მათი სახლების დიზაინსაც ეტყობა. ამის გამო სახლები გამოუსადეგარი ნივთებითაა სავსე. სახლი ის ადგილია, სადაც ადამიანი ცხოვრობს და თავს უსაფრთხოდ გრძნობს. სახლში ყველაფერი მოხერხებული, ადვილი, სადა და გამოსადეგი უნდა იყოს. ყველა ნივთის უკეთესი ვარიანტი არსებობს, მთავარია რაც გვაქვს კარგად მოვიხმაროთ.

დღეს ისეთი ტენდენციაა, რომ სურვილების მონობამ ადამიანობა თითქმის ჩაკლა. ვისაც საშუალება აქვს საზღვრებს აღარ იცავს, რა მიირთავს, რა ჩაიცვას და რა შეიძინოს. არადა მეორეს მხრივ მრავალი ადამიანი ომში, უბედურებაში, გაჭირვებასა და შიმშილში ძლივს ახერხებს არსებობას.

არსებობენ ადამიანები, რომლებიც ჭამისა და სმის ზომას ვერ ხვდებიან და ამის გამო დაავადებით იტანჯებიან. ბევრი ჭამა ბევრი დაავადების მიზეზი ხდება. ადამიანი ბევრი ჭამის შედეგად საკუთარ თავს აწამებს.

ადამიანური ურთიერთობებიც მარტივი და სადა უნდა იყოს. ცხოვრებას ესეც აი-

ოლებს. საბოლოო ჯამში ყველა იმ აზრზე დგება, რომ უბრალოება ჯობია, მაგრამ ბევრის შემთხვევაში ეს უკვე გვიანია.

ცხოვრება მშვენიერია. ცხოვრება უფრო მშვენიერი რომ გავხადოთ ადამიანებმა საკუთარ თავთან ერთად სხვებზე და გარემოზეც უნდა ვიფიქროთ. ადრე რაც განსხვავებული და შორეული იყო, დღეს ის ახლო და მარტივია.

muslim georgia
muslim georgia foundation
international charity